

მათემატიკის ოლიმპიადა

2014-2015 სასწავლო წელი

I ტური

ამ ტესტის შესრულებით თქვენ ღებულრბთ მონაწილეობას
„საათმსტატო და ეროვნული გამოცდებისა“ და „EXAM.GE“-ს
ოლიმპიადაში.

ოლიმპიადის პირველი ტური ტარდება ელექტრონულად.
ბთხოვთ, შეაფსოთ პასუხების ფურცელი მითითებული დავალბების
ნომრების შესაბამისად.

ტესტის პასუხები ცნობილი გახდება I ტურის დასრულებიდან

14 სამუშაო დღის შემდეგ.

ტესტის მაქსიმალური ქულა: 25

ბისურვებთ წარმატებას!

გიორგი ამბობს: „თუ ჩემს თანხას მივუმატებ იმის ნახევარს, რაც არის და კიდევ 10 ლარს, მაშინ გახდება 100 ლარი“


რა თანხა ჰქონია მას?

- ა. 50 ლარი
- ბ. 55 ლარი
- გ. 60 ლარი
- დ. 70 ლარი
- ე. 80 ლარი

მალაზია A-ში დილით წიგნების რაოდენობა იყო X, დღის განმავლობაში მალაზიამ 10 წიგნი მიიღო და 25 წიგნი გაყიდა. საღამოს მალაზიაში დარჩენილი წიგნების რაოდენობა გახდა 7. რამდენი წიგნი ყოფილა დღის დასაწყისში (თავდაპირველად) მალაზიაში?

- ა. 20
- ბ. 21
- გ. 22
- დ. 23
- ე. ჩამოთვლილთაგან არც ერთი პასუხი არ არის სწორი

სურათის მიხედვით იპოვეთ C წერტილის კოორდინატა წყვილი (C წერტილი AB-ს შუაწერტილია).



ა. 12;8


ბ. 2;4

გ. 2;6

დ. 3;4

ე. 12;6

სიბრტყის C წერტილი იმავე სიბრტყეში მდებარე a წრფის A წერტილთან და b წრფის B წერტილთან მონაკვეთებითაა შეერთებული. a და b წრფეები პარალელურია. ნახაზზე მითითებული კუთხეების გრადუსული ზომების მიხედვით იპოვეთ ACB მახვილი კუთხის სიდიდე.



- ა. 35°
- ბ. 45°
- გ. 55°
- დ. 65°
- ე. 70°

ჩამოთვლილთაგან რომელი განტოლებები არის ტოლფასი?

I. $20+2y=30$

II. $25+y=30$

III. $10+3y=25$

ა. I და II

ბ. I და III

გ. II და III

დ. I, II და III

ე. არც ერთი განტოლება არ არის ტოლფასი

$A=24 \cdot 57 \cdot 39 \cdot 236 \cdot 503$. რომელი ციფრით ბოლოვდება A რიცხვის ციფრული ჩანაწერი?

ა. 0

ბ. 2

გ. 4

დ. 6

ე. 8

თუ $y = 3x + 4$ და $x = 3y + 4$, მაშინ $6 - y =$

- ა. 4
- ბ. 5
- გ. 6
- დ. 7
- ე. 8

რამდენი მთელი რიცხვია 7,3-სა და $\frac{118}{3}$ -ს შორის, რომელიც უნაშთოდ იყოფა 2-ზე?

(პასუხების ფურცელში შეიტანეთ მხოლოდ სწორი პასუხი)

სანდრომ საატესტატო გამოცდაზე 10 ქულიანი სისტემიდან, 7 საგანში მიიღო 10.0, ხოლო ერთ საგანში 9.1. ნინომ 8-ვე საგანში მიიღო 9.9. რომლის საშუალო ქულაა უფრო მეტი?

(პასუხების ფურცელში შეიტანეთ მხოლოდ სწორი პასუხი)

სამკუთხედის გვერდები აკმაყოფილებენ პირობას $a \leq 5 \leq b \leq 6 \leq c \leq 8$. იპოვეთ ამ სამკუთხედის უდიდესი შესაძლო ფართობი.

(პასუხების ფურცელში მიუთითეთ ამოხსნის გზები და დააფიქსირეთ სწორი პასუხი)

გისურვებთ წარმატებას!